დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №85 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის მარეგულირებელი წესი“. აღნიშნული დოკუმენტი ადასტურებს, რომ დაწესებულება ათვითცნობიერებს კურიკულუმის დამტკიცებისათვის მისი შერჩევა-შემუშავების პროცესის ორგანიზების მნიშვნელობას. ამავე ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის დამტკიცების პროცედურები:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა (დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 23 ივნისის ჯგუფის შექმნის № 90 ბრძანება);

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;

გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა (წარმოდგენილია პროცესის ამსახველი ფოტომასალა);

დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება;

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №118 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმები „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „ სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინასწარ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმები უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას სამი თემატური მიმართულებით (ხელოვნება, წიგნიერება და მეცნიერება). კურიკულუმი ხელს უწყობს შესაბამისი თემატური მიმართულების ფარგლებში აღსაზრდელებისთვის მრავალფეროვანი თამაშების შეთავაზებას და მასში ინტერესით მონაწილეობას. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს ბავშვის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას შემდეგ სფეროებში: შემეცნებითი, მეტყველების, სოცილური, ემოციური და ფიზიკური, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები, მისივე მიზნებიდან გამომდინარე ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში" და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში". დაწესებულებას ასევე აქვს წარმოდეგენილი კურიკულუმის შესაბამისი დღის განრიგი, სადაც ნათლად ჩანს თამაშისათვის გამოყოფილი დრო/ხანგრძლივობა, რომელიც მოიცავს დღის უმეტეს ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდეგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემოთვაზებული კურიკულუმებით „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში" და „ადრეული განათლების

კურიკულუმი თამაში“. იგი მიზნად ისახავს ოჯახთან/თემთან აქტიურ თანამშრომლობას, ბაღის საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობას, ბავშვის სწავლასა და განვითარებაში მშობლის უწყვეტ ჩართულობას, მშობელთა უწყვეტ განათლებას ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით: „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“. აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს აღსაზრდელების მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის შესაძლებლობას: საუბრის, აზრის გამოთქმის, შექმნის, გამოგონების, კვლევის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, ფიზიკური აქტივობის, რისკიანი თამაშებისა და მრავალფეროვანი მასალის გამოყენებას. აღნიშნული აქტივობებში ჩართვისას ხდება ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**.

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის № 85 ბრძანებით. ამავე წესის მე-3 მუხლის მიხედვით, კურიკულუმს უზიარებს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ამის დასტურად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მშობლებთან შეხვედრის დასწრების ფორმა „კურიკულუმის გაზიარების შესახებ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნას **დაკმაყოფილებულია;**

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის № 85 ბრძანებით დამტკიცებული „ კურიკულუმის შერჩევის მარეგულირებელი წესის“;
2. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის № 118 ბრძანებით დამტკიცებული „ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „ სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“;
3. მშობლებთან კურიკულუმის გაცნობა/გაზიარების დასწრების ფურცელი.
4.“ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და „ სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“.
5. ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის № 90 ბრძანება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის შესახებ.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მე-3 მუხლში გაწერილია, რომ დაწესებულება აყალიბებს მათ მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შესაბამის გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს.

**გრძელვადიანი გეგმები** - იქმნება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი. აღნიშნულ გეგმებს ბრზანებით ამტკიცებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების

დირექტორი. აღსანიშნავია, რომ ადგილზე წარმოდგენილი გრძელვადიანი გეგმის ფორმა **არ არის** დამტკიცებული პროცედურულად აღნიშნული წესის მიხედვით.

**მოკლევადიანი გეგმა** იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი. დაწესებულებამ წარმოადგინა მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმის ნიმუშები, რომელიც თავისი კომპონენტებით იძლევა კურიკულუმით განსაზღვრულ პეროდულობისა და ხანგრძლივობის შესაბამისობის დადგენისა და გაზომვადობის საშუალებას. იგი მოიცავს მიზანს, მიზნის შესაბამის აქტივობებს , ინდივიდუალიზაციისა და ტრანზიციის კომპონენტებს. აღნიშნული ფორმა იძლევა მასში ცვლილების განხორციელებას , ბავშვის ინტერესისა და საჭიროებისამებრ. მოკლევადიანი გეგის ფორმაც ანალოგიურად **არ არის** დამტკიცებული პროცედურულად აღნიშნული წესის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნას **არ არის დაკმაყოფილებული;**

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უზრუნველყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმების დამტკიცება, მის მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით;

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 6 თვე. შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის № 86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლში - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემდეგნაირად:

1. გრძელვადიანი გეგმა იქმნება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი.
2. მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის № 86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად

უზრუნველყოფის წესი“ აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. ამავე წესში წარმოდგენილი ბავშვის შეფასების ფორმა (დანართი N1) ითვალისწინებს ჯგუფის საჭიროებების გამოვლენას საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსური ჩანაწერების დღიურით.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმა იძლევა, ჯგუფის დონეზე ინდივიდუალიზაციისა და რეფლექსური ჩაანაწერის საშუალებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმა არ არის დამტკიცებული ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებულია.**

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს,ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის მიერ, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მათ მიერ შემუშავებული/წარმოდგენილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების დამტკიცება.

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 6 თვე. შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის № 86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ აღნიშნული დოკუმენტის მე-3-ე მუხლის მე-5 ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი, რომ გრძელვადიანი და მოკლევადიანი

გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები. ამავე წესში წარმოდგენილი ბავშვის შეფასების ფორმა (დანართი N1) ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენას:

- აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგის ჩანაწერები/ჩანიშვნები;
- გეგმებზე მინაწერები(ინდივიდუალიზაციის ჩანაწერი);
- შეფასების შევსებული ინსტრუმენტები.

ამ ეტაპზე ინდიკატორის შესაბამისობის შემოწმება შესაძლებელია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმის ფორმით, რომელიც ითვალისწინებს, ინდივიდუალიზაციის ჩანაწერს, რომელიც არ არის დამტკიცებულია(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით. ასევე არ არის დამტკიცებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მიერ, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის აღსრულება, მათ მიერ შემუშავებული/წარმოდგენილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების დამტკიცება. ასევე უზრუნველყოს ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტების დამტკიცება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 6 თვე.
შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გასაუბრების შედეგებითა და დღის განრიგით დასტურდება, რომ აღმზრდელები იყენებენ თამაშს/თამაშის ელემენტებს საგანმანათლებლო პროცესში და ასევე ის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია. ძირითადად გამოიყენება, ცეკვით, მუსიკით და ვიზუალური მინიშნებებით აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა. აღნიშნული ინდიკატორი ასევე დასტურდება სააღმზრდელო გარემოს შიდა და გარე სივრცეების მოწყობის თავისებურებებით, სივრცე, შესაბამისი რესურსები, როგორც ბუნებრივი, ასევე მეორადი, რაც ბავშვებს აძლევს საშუალებას იყვნენ შემოქმედებითები, თავისუფლები არჩევანში და გადაინაცვლონ სხვა რეალობაში. თამაშის ძირითადი ელემენტების ამოკითხვა ასევე შესაძლებელია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოკლევადიანი გეგმის ფორმაში ტრანზიციის/სტრატეგიების ნაწილში, თუმცა აღნიშნული გეგმის ფორმა არ არის დამტკიცებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებამ უზრუნველყოს: ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესრულება, მათ მიერ შემუშავებული/წარმოდგენილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების დამტკიცება.

რჩევა

სასურველია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს ტრანზიციის გეგმა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 6 თვე.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებულ ყოველკვირეულ გეგმებში არსებული კომპონენტები და დღის განრიგით წარმოდგენილი თამაშისათვის განკუთვნილი დრო ითვალისწინებს ბავშვების ჩართულობას სხვადასხვა ტიპის თამაშებში შემდეგი მიმართულებებით: დრამატული და წარმოსახვითი, სამაგიდო და კონსტრუქციული, სენსორული, კვლევითი, შემოქმედებითი, მოძრავი და რისკიანი თამაშები.

**შიდა სივრცე** მოწყობილია კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო თემატურ ცენტრებად: დრამატული, კონსტრუქციული, სამაგიდო, სენსორული, კვლევითი, შემოქმედებითი და მოძრავი თამაშებისათვის განკუთვნილ სივრცეებად, როგორც ჯგუფურ ოთახში, ასევე სააქტო და სპორტულ დარბაზში. სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით, არსებული რესურსი ხელმისაწვდომია და მონიშნულია შესაბამისი ნახატებით/სიმბოლოებით, რაც ადასტურებს კურიკულუმის შესაბამისი სხვადასხვა თამაშის დაგეგმვის შესაძლებლობას.
**გარე სივრცის** მოწყობა იძლევა, როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური თამაშის საშუალებას. ეზოში გამოყოფილია დრამატული, სამაგიდო/საგნებით, კვლევის და შემოქმედებითი თამაშებისათვის სივრცეები, ასევე არის განმარტოებისათვის სივრცე. რაც შეეხება რისკიან თამაშებს, ეზოში არის ბარიერის გადალახვისათვის საჭირო აღჭურვილობა, გასაძრომები, ბალანსის აღჭურვილობა. დაწესებულებაში ასევე არის სასრიალო და საქანელა, რომელიც არ არის უსაფრთხო, რადგან ის აღმართულია ბავშვებისათვის საფრთხის შემცველ ზედაპირზე (პემზის კენჭებიანი ზედაპირი), იგი ესაზღვრება სივრცის შემოსაზღვრისათვის ჩადგმულ ბეტონს, რაც ასევე საფრთხის შემცველია. ეზოში აღმართულია რკინის საცოცი საშუალება, რომელიც ასევე არ არის უსაფრთხო ზედაპირზე და არის საკმაოდ მაღალი, ბავშვმა ვარდნისას შესაძლოა მიიღოს დაზიანება. გარე სივრცეში არ არის მზის/წვიმისგან დამცავი საჩრდილობელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................
.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ასაკის შესაბამისი უსაფრთხო საცოცი საშუალებების კეთილმოწყობა და ფიზიკური თამაშებისათვის ზემოთ აღნიშნული კონკრეტული სივრცის (კონკრეტულად საქანელებისა და საცოცი აღჭურვილობის სივრცე) კეთილმოწყობა ბავშვებისათვის უსაფრთხო ზედაპირზე, ასევე საჩრდილობლის მოწყობა გარე სივრცეში.

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 24 თვე.
შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მე-5 მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრას, აღნიშნული მუხლის მიხედვით დაწესებულება რესურსების განსაზღვრისას ითვალისწინებს მათ მიერ დამტკიცებული კურიკულუმების მიზნების შესაბამისად მრავალფეროვანი რესურსების შერჩევას/შეგროვებას და ითვალისწინებს ჰოლისტურ მიდგომას. ამავე მუხლის მიხედვით დაწესებულებაში მოქმედებს მინიმალური რესურსების ნუსხა, რომელსაც ამტკიცებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორი. ამ წესის მე-6 მუხლი, საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება, მოიცავს რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის სქემას, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება წინასწარ აკეთებს ინვენტარიზაციას, ასევე ითვალისწინებს ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს, საჭირო რესურსის ნუსხას და შესაბამისად ხდება მოთხოვნილი რესურსების შესყიდვა/განახლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ კასპის მუნივიპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის № 86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მე-6 მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესში რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფას სხვადასხვა გზებით (დონაცია, მეორადი რესურსების შეგროვება, დამზადება და შესყიდვა). ამავე მექანიზმის მიხედვით დაწესებულებას გაწერილი აქვს რესურსების საჭიროების განსაზღვრის, მათი შესყიდვის და მიწოდების სქემა. სქემის მიხედვით დაწესებულებამ წარმოადგინა ბიუჯეტი, რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი მტკიცებულებები (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები) და გაერთიანებაში შემავალი ბაღების, მათ შორის მე-3 საბავშვო ბაგა-ბაღისათვის განკუთვნილი რესურსების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა რესურსების საჭიროების განსაზღვრის, მათი შესყიდვის და მიწოდების სქემის მიხედვით დაწესებულებას უნდა ჰქონდეს რესურსების საჭიროების მოკვლევის დამადასტურებელი მტკიცებულება და არსებული რესურსის ინვენტარიზაცია.

საღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერიოდულად ჯგუფისა და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხდება რესურსების დამატებითი მოთხოვნა, აღმზრდელი მოკლე ჩანაწერის სახით რესურსების ჩამონათვალს გაივლის მეთოდისტთან და შემდეგ მიეწოდება მენეჯერს, რის საფუძველზეც ხდება შესყიდვა გაერთიანებაში არსებული თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტიდან. ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით კი დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა რომელიც მტკიცდება კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი, რის გარეშეც ვერ დადგინდება რესურსების კურიკულუმთან შესაბამისობა, ბავშვთა ზღვრული რადენობის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცება ბავშვთა ზღვრული რაოდენობისა და მათ მიერ შერჩეული კურიკულუმის განხორციელების მიზნებთან შესაბამისობაში.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 12 თვე.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შიდა და გარე სივრცე მოწყობილია დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად:

**შიდა სივრცე** - მოწყობილია კურიკულუმის შესაბამის შემდეგ თემატურ ცენტრებად: დრამატული, სამაგიდო თამაშების, მეცნიერების, წიგნიერების, ფიზიკური და სენსორული. გამოყოფილია დილის წრისთვის და განმარტოებისათვის განკუთვნილი სივრცეები. სივრცეებთან არის მინიშნებები ნახატებითა და სიმბოლოებით. აღნიშნული გარემოება ბავშვებს აძლევს არჩევანის საშუალებას, თუ რა ტიპის თამაშში ჩაერთონ და თავისუფლად მოიპოვოს მის მიერ შერჩეული თამაშის შესაბამისი რესურსი, რის შესაძლებლობასაც ასევე იძლევა რესურსის განლაგება, მისი ხელმისაწვდომობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. შიდა სივრცეში არსებული თემატური სივრცეების განლაგება იძლევა ბავშვების თავისუფლად გადაადგილების საშუალება, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა კი მდებარეობის გარჩევის/განცალკევების საშუალებას. გარემო არის შეცდომებისადმი ტოლერანტული, ინვენტარი, რესურსები არ არის ბავშვებისათვის საფრთხის შემცველი. ჯგუფებში მოქმედებს ვიზუალური განრიგი, რაც ბავშვებს აძლევს საშუალებას ადვილად მიხვდნენ მოქმედებების/დღის განრიგის თანმიმდევრობას. პატარა ასაკის ბავშვებისათვის წიგნები მყარი ფურცლებითაა და სამაგიდო რესურსებიც ლამინირებულია. შიდა სივრცის მოწყობა უზრუნველყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

**გარე სივრცე** - მოწყობილია ფიზიკური აქტივობების, რისკიანი, დრამატული და სამეცნიერო თამაშებისათვის განკუთვნილი სივრცე. აღნიშნული ცენტრებიდან სასრიალო და საცოცი აღჭურვილია საფარით, რომელიც არის საფრთხის შემცველი (პემზის ქვა), რაც ვერ უზრუნველყოფს შეცდომებისადმი ტოლერანტულ გარემოს შექმნას. სივრცეები ერთმანეთისაგან გამოყოფილია და შემოსაზღვრული, ასევე მარტივად ამოსაცნობი. გარე სივრცეში არის განმარტოებისათვის სახლი და სენსორული თმაშებისათვის საქვიშე, რომელიც არ არის ასაკისა და ჯგუფის რაოდენობის მიხედვით მოწყობილი. ეზოში არ არის საჩრდილობელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

..................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: საცოცი მოწყობილობის, სასრიალოსა და საქანელების უსაფრთხო ადგილას განთავსება, საჩდილობელისა და ბავშვთა ჯგუფური რაოდენობისა და ასაკის გათვალისწინებით საქვიშის მოწყობა.

..................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 12 თვე.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შიდა და გარე სივრცის ფიზიკური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ :

**შიდა სივრცეში** არსებულ თემატურ ცენტრებში რესურსები ორგანიზებულია კურიკულუმის შესაბამისად: ჯგუფების უმეტეს ნაწილში ხელმისაწვდომია და მარტივად საორიენტაციო შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების აღსაზრდელებისათვის, თუმცა ზოგიერთ ჯგუფში სამაგიდო და დრამატულ ცენტრებში არსებული თაროები მაღალია და ვერ უზრუნველყოფს ყველასთვის ხელმისაწვდომობას (3-4 წლიანი ასაკობრივი ჯგუფებისათვის). არსებული მასალები დახარისხებულია და ვიზუალურად თვალსაჩინოა ბავშვებისათვის და იძლევა მარტივად გარჩევის საშუალებას.

**გარე სივრცეში** არსებულ თემატურ ცენტრებში კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ინვენტარი და რესურსები, ორგანიზებულია იმგვარად, რომ ხელმისაწვდომია და მარტივად საორიენტაციო შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელებისათვის გარდა რისკიანი თამაშებისათვის განკუთვნილი სივრცისა, სადაც არ არის ასაკის შესაბამისი საცოცი საშუალება , ასევე არ არის ყველა ასაკისა და ჯგუფური რაოდენობის გათვალისწინებით მოწყობილი საქვიშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები **არ არის დაკმაყოფილებული;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს: 3-4 წლის ჯგუფის ჩათვლით, ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი ზომის თაროების მოწყობა, რათა რესურსები იყოს ხელმისაწვდომი, ასევე რისკიანი თამაშებისათვის საცოცი საშუალების მოწყობა ასაკობრივი განვითაარებისა და უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით. საქვიშის მოწყობა ბავშვთა ასაკობრივი განვითარებისა და ჯგუფური რაოდენობის გათვალისწინებით.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია რესურსები რომელიც მოთავსებულია გამჭვირვალე ყუთებში და ზედაპირულადაც თვალსაჩინოა ასევე იყოს დახარისხებული ვიზუალური ნახატებით იარლიყის სახით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არგუმენტირებულ პოზიციაზე და აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასაკმაყოფილებლად განსაზღვრული აქვს აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და გონივრული ვადა 12 თვე.
შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

## 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით, ჯგუფური ოთახების სიდიდე შეესაბამება ბავშვების რაოდენობას, არსებული სივრცე მათ აძლევს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში ჩართვის საშუალებას. დასვენებისა და განმარტოებისათვის ჯგუფში არსებობს ცალკე მოსასვენებელი/დასაძინებელი ოთახი, ბავშვების შესაბამის რაოდენობაზე გათვლილი საძინებლებით და ჯგუფში არსებული მოსასვენებელი სივრცე/კარავი, რომელიც ხელმისაწვდომია დღის ნებისმიერ დროს.
შიდა სივრცეში ასევე არის როლური, სენსორული, სამაგიდე თამაშებისათვის გამოყოფილი სივრცე, რომელიც იძლევა ბავშვების მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში ჩართვის საშუალებას.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია;**

..............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის №86 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი".აღნიშნული მექანიზმის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
ბ) მოკლე კითხვარები;
გ) ჩექლისტები;
დ) სკალები;
ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები **დაკმაყოფილებულია;**

..............................................................................................................................................................................................................................................

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები რეგულირდება ასევე „შინაგანაწესით“, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის № 107 ბრძანებით. მაგ: წახალისების სახე, დასაქმებულთა ძირითადი მოვალეობანი, პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას, კერძოდ ბაღების გაერთიანების დირექტორს, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პერსონალთან. გაფორმებული ხელშეკრულებები **არ მოიცავს** სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან **საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს,** შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავს საკონტაქო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალს; ასევე ხელშეკრულება არ მოიცავს ანაზრაურების გაცემის წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების საპროცენტო განაკვეთს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აქვე ავღნიშნავ, რომ დაწესებულების „შინაგანაწესში" განსაზღვრულია სამუშაო დროში ხანგრძლივობა და ანაზღაურებადი და ანაზრაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ყველა პერსონალსა და გაერთიანებას შორის, დადებულია 8 თვის ვადით ( 01.03.2025-01.10.2025) შრომითი ხელშეკრულება, რომლის წინარე ხელშეკრულების ვადა იყო ერთი თვე (01.02.2025-01.03.2025), ხოლო მისი წინარე შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებულია ერთი თვით (01.01.2025-01.02.2025). აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებების განახლება და გაგრძელება ხორციელდება პერიოდულად, მოკლევადიანი ვადებით. ასეთი

პრაქტიკა კი შესაძლოა გარკვეულწილად ზღუდავდეს პერსონალის პროფესიულ სტაბილურობას და გრძელვადიან მოტივაციას. ეს შეიძლება გავლენას ახდენდეს სამუშაო გარემოს მდგრადობაზე, რადგან მუდმივი განახლების რეჟიმი ქმნის გაურკვევლობის რისკს თანამშრომლებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

გაერთიანებამ უზრუნველყოს აღმზრდელ პედაგოგებთან/აღმზრდელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიყვანოს კანონთან შესაბამისობაში. კერძოდ: განსაზღვროს შესაბამისი მუხლები საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების, ასევე ასახოს ანაზღაურების გაცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს საპროცენტო განაკვეთი და შესაბამისობაში მოიყვანოს სტანდართან და საქართველოს შრომის კოდექსთან. ………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: ბაღების გაერთიანებამ პერსონალთან შრომითი ურთიერთობები გახადოს გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს თანამშრომლების პროფესიული სტაბილურობა, მოტივაცია და სააღმზრდელო პროცესის უწყვეტობის ხარისხი.

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება აღმზრდელ პედაგოგებთან/აღმზრდელებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში ასახავს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების, ანაზღაურების გაცემის წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს საპროცენტო განაკვეთს, რითაც შესაბამისობაში მოვიყვანთ სტანდარტთან და საქართველოს შრომის კოდექსთან. შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური რესურსი(იურისტი), პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.05.2026 (6 თვე). აღნიშნული გეგმა რეკომენდაციის შესაბამისია.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
.

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები დოკუმენტით „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი.“ აღნიშნულ დოკუმენტში ( თავი III. ორგანიზაციაში შესვლის პროცესი) გაწერილი პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას . პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, როგორც ღია, ასევე შიდა (დახურული) კონკურსის ჩატარების და პირდაპირი გზით დანიშვნის პროცედურები. უნდა აღინიშნოს, რომ, ბაღების გაერთიანების დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ამ ეტაპამდე არ მომხდარა ახალი კადრების აყვანის მიზნით, გაერთიანების მიერ ღია კონკურსის გამოყენების არცერთი შემთხვევა და დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პერსონალი დასაქმებულია პირდაპირი გზით დანიშვნის პროცედურების გავლის შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

........................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: ახალი კადრის დასაქმების შემთხვევაში გამოიყენოს „ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში“ ღია კონკურსის წესით გაწერილი პროცედურები, რათა უზრუნველყოს პროცესის ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

........................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

.

სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, რაც დასტურდება გასაუბრებით და გაერთიანების მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით". დოკუმენტში შემუშავებული და გაწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები, კერძოდ:

ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;

დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;

ზ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;

თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნული დოკუმენტისა და შინაგანაწესის თანახმად, დაწესებულების ადმინისტრაცია ახორციელებს ახალი თანამშრომლის პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთოხების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

...........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს ორგანიზაციული კულტურა. როგორც ინტერვიუებით დადგინდა, დაწესებულება ფუნქციონირებს გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებით. თანამშრომლებს ერთ გუნდად აქცევს საერთო მიზანი, საერთო მისია. ამის დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ პროექტებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვისას დაწესებულების კოლექტივი ამჟღავნებს ერთსულოვნებასა და თანაბარ ჩართულობას. მაგალითად: დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან, რაც დასტურდება იმით, რომ: მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ ( 2025 წლის 26 ივნისის № 93 ბრძანება), რაც გულისხმობს მის გაზიარებას ჯგუფის წევრებს შორის. ასევე გასაუბრების შედეგად დადსტურდა, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულება გაზაირებული იქნა ბაღის პერსონალთან, კერძოდ გაიმართა შეხვედრები, მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

..........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

## 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმნტში“ მკაფიოდ აქვს გაწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასება ( მუხლი 19. შესრულებული სამუშაოს შეფასება). შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას: უნარები, დაკისრებული ფუნქციების შეფასების ხარისხი, რესურსები და ინსტრუმენტები, კარიერული განვითარება და სხვა. დოკუმეტში ასევე მკაფიოდაა გაწერილი შეფასების მეთოდები, კერძოდ: კითხვარი, შეფასება უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება და გასაუბრება. ასევე შეფასების/საჭიროების მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპებია: დაგეგმვა, შეფასების/საჭიროებათა კვლევის განხორციელბა და შედეგების ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის პერსონალის საქმიანობის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ეტაპისთვის დაწესებულებას **არ აქვს** შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, თუმცა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ ასახულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და შესრულების ვადად განსაზღვრულია 24 თვე- ნაწილობრივი შესაბამისობა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (1.08.2025- 30.07.2027),

შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები -კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას, კერძოდ: **პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავება**, განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების დირექტორი, მეთოდისტი, ბაგა-ბაღის გამგე) და საჭირო რესურსი (დაწესებულების ადამიანური რესურსი, ბაგა-ბაღის ადამიანური რესურსი).

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში არაფორმალურად მაინც ხდებოდა პერსონალის განვითარების საჭიროებებზე დაყრდნობით მათ განვითარებაზე ზრუნვა, რაც დასტურდება გავლილი ტრენინგებით და პერსონალის პირად საქმეებში არსებული მტკიცებულებებით-სერტიფიკატებით;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **ნაწილობრივ შეესაბამება;**

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: **პერსონალის განვითარების გეგმის** ფორმალური შემუშავება და დამტკიცება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, რომელიც ეფუძნება პერსონალის პროფესიულ საჭიროებებს, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროცესის სისტემურობას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს შემუშავებული პერსონალის განვითარების გეგმა, გაერთიანება პერიოდულად მაინც ახორციელებს ბაღში პერსონალის განვითარებას. აღმზრდელებმა გაირეს 66 საათიანი ტრენინგი, HASPI-ის
დანერგვის ტრენინგები გაიარეს მენეჯერმა, ექთანმა და მზარეულმა. პერიოდულად დაწესებულებას აქვს შემოთავაზება საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებიდან, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა შინაარსის ტერნინგებსა და სწავლებებს. სტატუსის მაძიებელი ხელს

უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების არსებობა დადასტურებულია გავლილი ტრენინგებით, სერტიფიკატებით, რომლებიც ინახება პერსონალის პირად საქმეებში, ასევე აღნიშნული დასტურდება პესონალთან გასაუბრების შედეგად;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დაწესებულების სტრუქტურა/ორგანოგრამა;
2.პერსონალის პირადი საქმეები;
3.„პერსონალის მართვის მარეგულირებელი  დოკუმენტი“ - დამტკიცებული დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის № 105 ბრძანებით;
4.შრომითი  ხელშეკრულება;
5.2025  წლის 23 ივლისის სახელმწიფო შეწყვიდების ხელშეკრულება № 107/07
6.„შინაგანაწესი“- დამტკიცებული დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის №107 ბრძანებით;

7.საშტატო ნუსხა;
8.სერტიფიკატები;
9. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული მასალები/აქტივობები;
10.გასაუბრების შედეგები;

11.შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე **არ აქვს** დამტკიცებული დოკუმენტი „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“. დაწესებულებამ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნა: „ჩვენს დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს დამტკიცებული დოკუმენტი „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“, თუმცა მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის შემუშავებაზე და მის დამტკიცებას ვგეგმავთ უახლოეს მომავალში. იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

**მმართველობითი პროცესებია:**

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- ხარისხის უზრუნველყოფა.

**ძირითადი პროცესებია:**

- კურიკულუმის შერჩევა, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
- ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა);
- სსსმ ბავშვების მომსახურება;
- ოჯახთან და თემთან ურთიერთობა.

**დამხმარე პროცესებია:**
• ადამიანური რესურსების მართვა;
• მატერიალური რესურსის მართვა;
• საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);
• პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა;
• ფინანსური რესურსებს მართვა;
• სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა;
• ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა;“

თუმცა დაწესებულებამ **ვერ წარმოადგინა** უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ან შესაბამისი ოქმი ზემოთ აღნიშნულის შესახებ;

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტის შემუშავებასა და დამტკიცებაზე. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში - 12 თვე (მეტწილი) შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (1.08.2025- 30.07.2026), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები - კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ: **პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმეტის შემუშავება და დამტკიცება**, განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების დირექტორი, მეთოდისტი, ბაგა-ბაღის გამგე) და საჭირო რესურსი (გაერთიანების ადამიანური და ფინანსური რესურსი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**
................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში, კერძოდ: შეიმუშაოს და დაამტკიცოს „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება სკოლამდელი აღზრდის და განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან;
................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................
.

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ეტაპისთვის დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის“ ამსახველი დოკუმენტი, მაგრამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში - 12 თვე (მეტწილი) შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (1.08.2025- 30.07.2026), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები -კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ: **პროცესების აღმწერები და ხარსიხის უზრუნველყოფის დოკუმეტის შემუშავება და დამტკიცება**, განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები ( გაერთიანების დირექტორი, მეთოდისტი, ზაგა-ბაღის გამგე) და საჭირო რესურსი (გაერთიანების ადამიანური და ფინანსური რესურსი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად და შეიმუშაოს და დაამტკიცოს „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი“ რათა, ხელი შეუწყოს დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობას, დაწესებულებაში უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესებას და ეფექტიანი მონიტორინგის პროცესის ჩამოყალიბებას.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................
.

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი", რომელიც დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის №106 ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა - ამორიცხვის პრინციპები, დაწესებულებაში ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობა და ვადები, ბავშვის გადაყვანის და ბავშვის ამორიცხვის წესი. დოკუმეტში მკაფიოდაა გაწერილი დოკუმეტების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც მოხდება ბავშვის ჩარიცხვა, კერძოდ:
ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მშობელსა და საბავშვო ბაღის გამგის სახელზე;
ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
გ) ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი;
დ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
ე) ბავშვის  ფოტოსურათი;
ვ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;
ზ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის  წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
თ)მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);
ი) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კ) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;

პირადი საქმეების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ბავშვის პირადი საქმეები არაა სრულყოფილი და არ მოიცავს ყველა იმ დოკუმენტს, რაც გაწერილია დაწესებულების მიერვე დამტკიცებულ დოკუმენტში. ასევე დოკუმენტი „ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი"-ის თანახმად მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება. ამ ეტაპზე დაწესებულებაში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ხელშეკრულება არაა გაფორმებული და შესაბამისად არ ინახება ბავშვების პირად საქმეებში. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულება გეგმავს ხელშეკრულების ფორმის შემუშავებას და ახალი წლის დასაწყისიდან ხელშეკრულების გაფორმებას მათ მიერვე დამტკიცებული დოკუმენტში გაწერილი წესების შესაბამისად.
ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესი ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად რაც დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებით ბავშვის ჩარიცხვის თაობაზე, პირადი საქმეებით;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: უზრუნველყოს ბავშვის პირადი საქმეების მოწესრიგება-(ყველა სავალდებულო დოკუმეტი) და „ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი"-ში გაწერილი ყველა პუნქტის დაცვა. შეიმუშაოს და გააფორმოს დაწესებულებასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ხელშეკრულება და უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულფასოვანი შესრულება, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გამჭვირვალე, სამართლებრივად დაცულ და სანდო თანამშრომლობას;

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება მოაწესრიგებს ბავშვების პირად საქმეებს, მასში მოთავსებული იქნება ყველა სავალდებულო დოკუმეტი. „ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად შეიმუშავებს და გააფორმოს დაწესებულებასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის ხელშეკრულებას, რომლებსც მოათავსებს ბავშვების პირად საქმეებში. შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური რესურსი(ბაღის ხელმძღვანელი, იურისტი), პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.05.2026 (6 თვე). აღნიშნული გეგმა რეკომენდაციის შესაბამისია.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის პირად საქმეებს აწარმოებს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის", ხოლო ბავშვთა პირად საქმეებს „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად. „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში" (მუხლი 22. თანამშრომელთა პირადი საქმეები) გაწერილია პერსონალის მიერ წარსადგენი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც უნდა ინახებოდეს თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში. კერძოდ:

ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;

ბ) რეზიუმე;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;

თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);

ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

საგულისხმოა, რომ „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქრთველოს კანონის თანახმად (მუხლი 181. - დაწესებულების პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა". ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დოკუმეტში „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი" ( მუხლი 17. პერსონალის კვალიფიკაცია, პუნქტი 2) გაწერილი აქვს, რომ დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა"

აღნიშნული ცნობები უნდა იყოს ყველა თანამშრომლის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი, რაც არ არის წარმოდგენილი მოცემული დაწესებულების პერსონალის პირად საქმეებში. ასევე პერსონალის პირად საქმეებში არაა „შინაგანაწესის" გაცნობის ხელწერილი.

რაც შეეხება ბავშვების პირად საქმეებს, რომელსაც არეგულირებს ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის № 106 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი : „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“, სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი გაწერილია მარეგულირებელ წესში ( მუხლი 4.), კერძოდ:
ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მშობელსა და საბავშვო ბაღის გამგის სახელზე;
ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
გ) ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი;
დ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
ე) ბავშვის ფოტოსურათი;
ვ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;
ზ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;
თ)მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);
ი) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კ) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ;

ადგილზე დათვალიერებისას ბავშვების პირად საქმეებში არ იყო ყველა ის სავალდებულო დოკუმენტი, რაც დაწესებულებას გაწერილი და დამტკიცებული აქვს მარეგულირებელი წესით.
მარეგულირებელ წესში (მუხლი 4.) ასევე გარკვევით წერია, რომ: „მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება. ამ მუხლით განსაზღვრული წესით ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დაწესებულების დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა ბრძანება ბავშვის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.“ თუმცა ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ პირად საქმეებში არ არის მშობელსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

ორივე შემთხვევაში (ბავშვებისა და პერსონალის) დაწესებულება აწარმოებს პირად საქმეებს, თუმცა არ აქვს შემუშავებული პირადი საქმეების წარმოების წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი **არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: მოიყვანოს წესრიგში პერსონალისა და ბავშვების პირადი საქმეების წარმოების პროცესის სრული შესაბამისობა კანონმდებლობითა და მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ:
შეიმუშაოს და დაამტკიცოს **„პირადი საქმეების წარმოების წესი“**, სადაც დეტალურად განისაზღვრება სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათი წარმოდგენისა და განახლების ვადები, ასევე პასუხისმგებელი პირი/პირები;

უზრუნველყოს, რომ **პერსონალის ყველა პირადი საქმე შეიცავდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ დოკუმენტებს**;
უზრუნველყოს, რომ ყველა **ბავშვის პირად საქმეში** თანდართული იყოს მარეგულირებელი წესით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტები, მათ შორის მშობელსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული **ხელშეკრულება** და ბავშვის ჩარიცხვის შესახებ დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის **ბრძანება**;
უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეებში **„შინაგანაწესის“ გაცნობაზე ხელწერილის** თანდართვა.

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება შეიმუშავებს და დაამტკიცებს „პირადი საქმეების წარმოების წესს“, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მათი წარმოდგენისა და განახლების ვადები, ასევე პასუხისმგებელი პირი/პირები; უზრუნველყოფს, რომ პერსონალის ყველა პირადი საქმე შეიცავდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ დოკუმენტებს/ცნობებს და „შინაგანაწესის“ გაცნობაზე ხელწერილს. უზრუნველყოფს, რომ ყველა ბავშვის პირად საქმეში თანდართული იყოს მარეგულირებელი წესით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტები, მათ შორის მშობელსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ბავშვის ჩარიცხვის შესახებ დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანება; შესასრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური რესურსი (ბაღის ხელმძღვანელი, იურისტი), პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.05.2026 (6 თვე). აღნიშნული გეგმა რეკომენდაციის შესაბამისია.
შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“- დამტკიცებული დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის №106 ბრძანებით;
2. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“- დამტკიცებული დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის № 105 ბრძანებით;
3. „შინაგანაწესი“-დამტკიცებული დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02 ივლისის №107 ბრძანებით;

4. ბავშვის პირადი საქმეები;
5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. გასაუბრების შედეგები;
7. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, დაწესებულებაში განთავსებულია სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობით. ბაღში მომუშავე ორივე ექთანს აღნიშნულის მტკიცებულებად აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სერტიფიკატი. დაწესებულება აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღიცხვის ჟურნალს. სამედიცინო პერსონალს შინაგანწესში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით არ აქვს მედიკამენტური ჩარევის უფლება. მას აქვს პასუხისმგებლობა დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და მშობელს. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებაში მედიკამენტების გამოყენება დაშვებული არ არის, სამედიცინო სივრცეში მოწყობილია მხოლოდ მოსასვენებელი ფიზიკური გარემო, შესაბამისი აღჭურვილობით.
კასპის № 3 საბავშვო ბაგა-ბაღში არ არის გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა გაწერილი აქვთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში -12 თვე (მეტწილი) შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (1.08.2025- 30.07.2026), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები - კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ: **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მიღება ხელშეკრულების საფუძველზე,** განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების დირექტორი) და საჭირო რესურსი (გაერთიანების ადამიანური რესურსი).

დაწესებულებას საჯარო სივრცეში (ორივე სართულზე) გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების ცეცხლმაქრები, დაწესებულებაში არაა დამონტაჟებული ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის სისტემა.

დაწესებულებას აქვს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის კასპის მერისადმი 2025 წლის 22 ივლისს მიწერილი წერილი შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების გეგმის დამტკიცების შესახებ - შესაბამისი ორგანოს მიერ;

დაწესებულებას ასევე აქვს 2018 წლის 27 იანვრს გაცემული სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა, სადაც გაწერილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის შესახებ ჩასატარებელი ღონისძიებები. ინტერვიუს და დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებას მოთხოვნილი დარღვევების აღმოფხვრის ღონისძიებების ნაწილი შესრულებული, ხოლო ნაწილი შესასრულებელი აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება, გეგმით განსაზღვრულ ვადებში, კერძოდ: უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა, განსაზღვროს საგანგებო სიტუაციაში პასუხისმგებლი პირი, ქცევის წესები და პროცედურები.

გარდა ამისა, დაწესებულებამ უზრუნველყოს გადაუდებელი დახმარების მექანიზმის შემუშავება, სადაც აღწერილი იქნება, თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისას. ასევე უზრუნველყოს დაწესებულებაში ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი.

........................................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................................

.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ აღნიშნული გეგმის შემუშავებისას კონსულტაცია გაიაროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ასევე სასურველია კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით განახორციელოს საგანგებო სიტუაციებში რეაგირებისთვის მოსამზადებელი სიმულაციური წვრთნები.

........................................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს გადაუდებელი დახმარების მექანიზმის შემუშავებას, სადაც აღწერილი იქნება, თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისას. ასევე უზრუნველყოფს დაწესებულებაში ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟს. განსაზღვრულია შესაბამისი ფინანსური რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი), პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.11.2026 (12 თვე). აღნიშნული გეგმა რეკომენდაციის შესაბამისია.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

........................................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კასპის № 3 საბავშვო ბაგა-ბაღში აღწერილი აქვთ მათ ტერიტორიაზე არსებული მცენარეების დასახელება და მათი რაოდენობა. აღწერაში არ ჩანს, მცენარეები არის თუ არა სახიფათო ბავშვების და პერსონალის ჯანმრთელობისთვის. დაწესებულების ეზოში დგას ერთი ვარდის ნერგი, რომლის ტოტობიც ეკლიანია და საფრთხეს წარმოადგებს ბავშვებისთვის. ასევე ეზოს ტერიტორიაზე დგას მაღალი ხეები, რომლის ქვედა ტოტოები არაა გასხლული ისე, რომ ბავშვს არ ჰქონდეს მასზე აძრომის შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებულია;**

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერის განხორციელება კომპეტენტური სპეციალისტის მიერ, რაც მოიცავს მათი სახეობისა და ჯანმრთელობისთვის შესაძლო რისკების შეფასებას/აღწეას. ასევე, მიზანშეწონილია ეკლიანი ვარდის ნერგის ბაღის ტერიტორიიდან მთლიანად მოცილება, ეზოში არსებული ხეების ქვედა ტოტოების გასხვლა, რათა ბავშვებისა და პერსონალის ჯანმრთელობისათვის არ იყოს საფრთხის შემცველი.

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ ბაღის ეზოში არსებული მცენარეები აღწეროს კომპეტენტურმა პირმა, რათა შეფასდეს არსებობს თუ არა ჯანმრთლეობისთვის ზიანის მიყენების რისკი. განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური (სპეციალისტი)რესურსი, პასუხისმგებელი პირები (ბაღის ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.11.2026 (12 თვე). აღნიშნული გეგმა რეკომენდაციის შესაბამისია.

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს შემუშავებული აქვს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესები, რაც დასტურდება იმით, რომ კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისად დაწესებულებას აქვს შემუშავებული მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის თანხმობაზე და ასევე, ბავშვისთვის ფოტო/ვიდეოს გადაღება/გამოქვეყნების ნებართვაზე. აღნიშნული თანხმობის ფორმები ინახება ბავშვის პირად საქმეში. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე მშობლის ინფორმირება ხდება წინასწარ, პირადი გასაუბრების ან სატელეფონო ზარის შედეგად. რაც შეეხება ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის წესებს/პროცედურებს, დაწესებულებას ეს წესი **არ აქვს** გაწერილი  დოკუმენტის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული**

..............................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: შეიმუშაოს და დაამტკიცოს **ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურები** დოკუმენტის სახით, სადაც დეტალურად განისაზღვრება პასუხისმგებელი პირები, თანმიმდევრული მოქმედებები და უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, რათა უზრუნველყოს პროცესის სტანდარტიზაცია, გამჭვირვალობა და ბავშვთა უსაფრთხოების უფრო მაღალი ხარისხით დაცვა;

..............................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................................
.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად,  დაწესებულება უზრუნველყოფს შეიმუშვოს ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის წესებს/პროცედურებს. განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური (იურისტი )რესურსი, პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.11.2026 (12 თვე).

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

..............................................................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................................................

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კასპის №3 საბავშვო ბაგა-ბაღში უზრუნველყოფილია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა, კერძოდ: აღსაზრდელებისთვის შექმნილია პროგნოზირებადი და უსაფრთხო გარემო, სადაც ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს. ვიზუალური დღის განრიგი, რომელიც დასურათებული და საჯაროდ გამოკრულია, ხელს უწყობს ბავშვებისთვის დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების გაგებასა და მონაცვლეობის თვალსაზრისით პროცესის ორგანიზებულობას. დამატებით, სივრცეში განთავსებული ვიზუალური მინიშნებები ამარტივებს გარემოს აღქმას, ხოლო ცვლილებების შესახებ წინასწარი ინფორმირება ამცირებს სტრესს და ამსუბუქებს ტრანზიციის პროცესს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების სტაბილურობასა და საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებული;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მიერ ბავშვის უფლებების ცოდნა და დაცვა რამოდენიმე აღმზრდელის მიერ გავლილი ტრენინგებით ბავშვის უფლებების, ბავშვთა დაცვისა და ადრეული განათლების სფეროში, დადასტურებულია სერტიფიკატებით, რომელიც ინახება მათ პირად საქმეში. ინტერვიუს შედეგად, თვალსაჩინო გახდა, რომ აღმზრდელები ისეთ სასწავლო პროგრამებსა და აქტივობებს ახორციელებენ, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებში საკუთარი უფლებების გაცნობიერებას და მათ პატივისცემას.

თუმცა გასაუბრების შედეგად ასევე დადგინდა, რომ საბავშვო ბაღის პერსონალი არ იცნობს „ბავშვთა ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელ წესს“ და შესაბამის პროცედურებს, რომელიც დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23 ივნისის № 88 ბრძანებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: პერსონალის სრულფასოვანი ინფორმირება და გადამზადება „ბავშვთა ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესისა“ და შესაბამისი პროცედურების შესახებ.მიზანშეწონილია ჩატარდეს მიზნობრივი ტრენინგები და საინფორმაციო სესიები, რათა პერსონალმა არა მხოლოდ იცოდეს დოკუმენტის შინაარსი, არამედ პრაქტიკულად შეძლოს მისი გამოყენება ბავშვთა უფლებების დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში;
................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
.

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას და გადამზადებას „ბავშვთა ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესისა“ და შესაბამისი პროცედურების შესახებ. განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური (მეთოდისტი) რესურსი, პასუხისმგებელი პირები (ბაღის ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.11.2026 (12 თვე).

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი: „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებებითვის. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 23 ივნისის № 88 ბრძანებით. სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დამტკიცებულია კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №117 ბრძანება, და რეფერირებაზე პასუხიმგებლ პირად განსაზღვრული ჰყავს საბავშვო ბაღის გამგე. დოკუმნეტში მკაფიოდაა განსაზღვრული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი ნაბიჯები, კერძოდ: რეგულირების სფერო, დაწესებულების როლი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველი, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი, ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვის რეფერირება, ინფორმაციის კონფიდენციალურობა და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები და შესაბამისი დანართები.

აღნიშნული წესი შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც ეხება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცებას“.

პერსონალთან, საბავშვო ბაღის გამგესთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ამ დრომდე არ ჰქონიათ ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევბი და შესაბამისად არ დამდგარა საჭიროება რეფერირების წესის გამოყენების;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

### რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კასპის №3 საბვშვო ბაგა-ბაღში ადაპტაციის და ტრანზაციის დროს გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფსიქოლოგი, ლოგოპედი, აღმზრდელები, მუსიკის მასწავლებელი. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეებში არსებული ცენტრები დასურათებულია, ასევე ბავშვებს აქვთ განმარტოვების შესაძლებლობა, როგორც შიდა, ასევე გარე სივრცეში, რაც ხელს უწყობს მის ადაპტაციას/ შეგუებას სააღმზრდელო გარემოსთან. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ტრანზაციით იწყება საბავშვო ბაღში ბავშვის პირველი შეხება ბაღთან, რომელიც მოიცავს ახალ ურთიერთობებს, ასევე ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლას და სკოლაში წასვლას. ასევე არსებობს შიდა ტრანზაციები: თამაშის პროცესიდან სადილის პროცეზსე გადასვლა, ჯგუფში აქტივობიდან ეზოში განსახორციელებულ აქტივობაზე გადასვლა და ძილის პერიოდი. საბავშვო ბაგა-ბაღში არსებობს ეფექტური პრაქტიკა ბავშვების ბაღთან ადაპტაციის კუთხის სახით, რომელიც ეხება წინასწარ საორიენტაციო შეხვედრებს მშობლებთან. წლის დასაწყისში ბავშვებს უტარებენ შიდა ექსკურსიას და ათვალიერებინებენ ბაღს, რათა გაუადვილონ უცხო გარემოსთან შეგუება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია;**
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კასპის № 3 საბავშვო ბაგა-ბაღი აწარმოებს და მართავს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას საბავშვო ბაღის თანამშრომლების, ჩარიცხული ბავშვების და მათი მშობლების შესახებ. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც დასტურდება იმით, რომ დაწესებულებას აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე, რაც ინახება ბავშვის პირად საქმეში.
დაწესებულებას **არ აქვს** შემუშავებული პერსონალური ინფორმაციის დაცვის პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული**;

..........................................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: დაწესებულებამ შეიმუშაოს „პერსონალური ინფორმაციის დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ბავშვთა, მშობლებისა და პერსონალის შესახებ პერსონალური მონაცემების დაცვის წესებს, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე მონაცემთა შენახვის, გამოყენებისა და მესამე პირთან გაზიარების პირობებს;

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეიმუშაოს „პერსონალური ინფორმაციის დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ბავშვთა, მშობლებისა და პერსონალის შესახებ პერსონალური მონაცემების დაცვის წესებს, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე მონაცემთა შენახვის, გამოყენებისა და მესამე პირთან გაზიარების პირობებს; განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური (იურისტი) რესურსი, პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.11.2026 (12 თვე).

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის  დამადასტურებელი დოკუმენტი - ექთნების სერტიფიკატები;
2.მშობლის წერილობითი ნებართვა (დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანაზე, ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვ.).
3.დღის განრიგი;
4.„ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 06 ივნისის №88 ბრძანებით;
5.ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 ივლისის №117 ბრძანება, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის სესახებ;
6.ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის/ტრანზიციის ამსახველი მასალები/აქტივობები, ფოტოები;
7. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
8. გასაუბრების შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კასპის №3 საბავშვო ბაგა-ბაღი წარმოადგენს კასპის სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულს. შესაბამისად ფინანსურად უზრუნველყოფს გაერთიანება. გაერთიანების მიერ გაწერილ ბიუჯეტში არ არის განსაზღვრული ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ცალკე ხარჯი, არამედ ყველა სტრუქტურული ერთეულის ხარჯი შეკრებილია და გაწერილია მთლიანი წლის ბიუჯეტში. ბიუჯეტში განსაზღვრულია შრომის ანაზღაურების ხარჯები, ოფისის ხარჯები, კვების ხარჯები, ტრანსპორტის ხარჯები და სხვა. დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი უნდა ჰქონდეს თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი, მაგრამ რადგანაც ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სამქომედო გეგმა, შესაბამისად დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, თუ როგორ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულებას ფინანსური რესურსით. დაწესებულებას ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და შესრულების ვადად განსაზღვრულია 12 თვე - მეტწილი შესაბამისობა, შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებულია შეუსაბამობის აღწერა, განსაზღვრულია დაწყების და დასრულების დრო (1.08.2025- 30.07.2026), შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა /აქტივობები , კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ: **ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება,** განსაზღვრული ყავს პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების დირექტორი, მეთოდისტი, ბაგა-ბაღის გამგე) და საჭირო რესურსი (დაწესებულების ადამიანური რესურსი, ბაგა-ბაღის ადამიანური რესურსი).

დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების საერთო ბიუჯეტი, შესყიდვების ხელშეკრულება, შესყიდვების წლიური გეგმა CPV კოდებით, ბრძანებები შესყვიდების წლიურ გეგმაში CPV კოდზე ასახული თანხის ცვლილებების შესახებ;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილ შესაბამისობაშია;**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება, კერძოდ: დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, გაწეროს დეტალური ფინანსური გეგმა/საპროგნოზო ბიუჯეტი, ინფორმაცია დაწესებულების შემოსავლებსა და ხარჯების სტრუქტურაზე, რათა შეფასდეს, რამდენად არის მთლიანი სამოქმედო გეგმა ფინანსურად გამყარებული, ასევე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც აჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად იხარჯება გამოყოფილი თანხები და რამდენად მიიღწევა დასახული მიზნები.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................
.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების" 2025 წლის ბიუჯეტი. ასევე მიღება-ჩაბარების დოკუმენტები გაერთიანების მიერ გადაცემული რესურსის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტებით იმის დადგენა, თუ რამდენად უზრუნველყოფილია დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, რთულია. არცერთი წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეიცავს  დეტალურად გაწერილ ბიუჯეტს. თვალსაჩინოა მხოლოდ ცალკეული მოთხოვნების ღირებულება ან მათთვის გამოყოფილი თანხები (მაგ., საქონელი და მომსახურება 595 900 ლარი, ოფისის ხარჯები  280 000 ლარი და სხვა). სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერიოდულად ჯგუფისა და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხდება რესურსების დამატებითი მოთხოვნა, აღმზრდელი მოკლე ჩანაწერის სახით რესურსების ჩამონათვალს ათანხმებს მეთოდისტთან და შემდეგ მიეწოდება მენეჯერს, რის საფუძველზეც ხდება შესყიდვა გაერთიანებაში არსებული თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტიდან..
წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იკითხება კონკრეტულად მე-3  საბავშვო ბაგა-ბაღი კურიკულუმით გათვალისწინებული და ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მიხედვით რესურსების საჭიროებისა და შესაბამისი შესყიდვის შესახებ შინაარსი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: დაწესებულებამ  უზრუნველყოს ბიუჯეტის წარმოდგენა, რომელიც მოიცავს ყველა მუხლსა და მიმართულებას დეტალურად გაწერილი სახით. წარმოდგენილ ბიუჯეტში უნდა აისახოს, რა ოდენობის ფინანსური რესურსია გათვალისწინებული უშუალოდ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის: საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გამართულად განხორციელება, პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვა აუცილებელი,საჭიროებები;
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
.
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეიმუშაოს ბიუჯეტის დოკუმენტი სადაც ასახული იქნება რა ოდენობის ფინანსური რესურსია გათვალისწინებული უშუალოდ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის: საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გამართულად განხორციელება, პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვა აუცილებელი,საჭიროებები; განსაზღვრულია შესაბამისი ადამიანური (ბაღის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პერსონალი,ბუღალტერი) რესურსი, პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.11.2026 (12 თვე).

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტში აქვს ჩანაწერი: „ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) პროცესები აღწერილია დაწესებულებების დებულებაში“, თუმცა ეს დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად ვერ მოხდა შეფასება ექსპერთთა ჯგუფის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული;**

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს: დაწესებულებამ უზრუნველყოს/წარმოადგინოს დებულება/წესი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ფინანსური რესურსების მართვის პროცესები, მათ შორის: დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა ასახავდეს, როგორ ხდება ბიუჯეტის შედგენა, მისი განაწილება დაწესებულების მიერ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და რა წესით ხორციელდება დანახარჯების კონტროლი.

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს: დაწესებულებამ მოახდინოს პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა, სადაც ხარჯები დაჯგუფდება არა მხოლოდ ეკონომიკური მუხლებით, არამედ კონკრეტული პროგრამებითა და მიზნებით (მაგ. „კურიკულუმის განვითარების პროგრამა“, „ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამა“).

........................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეიმუშვოს ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმი. მათ შორის: დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტში ასახული იქნას, როგორ ხდება ბიუჯეტის შედგენა, მისი განაწილება დაწესებულების მიერ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და რა წესით ხორციელდება დანახარჯების კონტროლი. განსაზღვრულია შესაბამისი ფინანსური (გაერთიანების ბიუჯეტი) რესურსი, პასუხისმგებელი პირები (გაერთიანების ხელმძღვანელი) და ვადა 13.11.2025-13.11.2026 (12 თვე).

შესაბამისად ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა **მეტწილად შეესაბამება.**

........................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2025 წლის ბიუჯეტი;

2.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების 2025 წლის 11 ივნისის ბრძანება №76 შეყიდვების წლიურ გეგმაში CPV კოდის ასახვის შესახებ;
3.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზედის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 27 იანვრის ბრძანება №13 შესყვიდების წლიურ გეგმაში CPV კოდზე ასახული თანხის ცვლილებების შესახებ;
4. სახელმწიფო შეყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 71 (კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისთვის საბავშვო მხატვრული ლიტერატურის შეძენა);
5.ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მიერ ბაგა-ბაღებისთვის რძის პროდუქტის, კერძოდ :პასტერიზებული რძის შესყიდვის 2025 წლის 01 ივლსისის კომისიის სხდომის №1 ოქმი;
6.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების შესყიდვების 2024 წლის 06 ნოემბრის ბძანება №155, შესყიდვების 2025 წლის წლიურ გეგმასი CPV კოდებზე სავარაუდო თანხების ასახვის შესახებ;
7.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების 2025 წლის 19 მაისის ბრძანება № 64, 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების შესახებ;
8. მიღება-ჩაბარების დოკუმენტი;
9. გასაუბრების შედეგები;
10. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|

| | |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე** | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | მიმოზა ღოლიჯაშვილი | |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები** | | |
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | ქეთევან ბერუაშვილი | |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | თამარ ქრისტესაშვილი | |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* | ხათუნა ქიტიაშვილი | |

თარიღი 20 /11/ 2025

დანართი №1

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):კასპის მუნიციპალიტეტის ქ. კასპის N 3 საბავშვო ბაგა-ბაღი | ბრძანების N: 15/08/2025 ბრძანება MES 0 25 0000989967 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, ქუჩა ქუთათელაძის N2<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *02.09.2025-03.09.2025* |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1.ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი-დამტკიცებულია დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 02.07.№106 ბრძანებით;<br>2.ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი-დამტკიცებულია დირექტორის/ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 15 ივლისი №119 ბრძანებით;<br>3.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>4.შენობა-ნაგეგბობის გეგმა;<br>5.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის კასპის მერისადმი 2025 წლის 22 ივლისს მიწერილი წერილი მოთხოვნაზე შენობის მდგრადობის დასკვნის შესახებ - შესაბამისი ორგანოს მიერ;<br>6.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის კასპის მერისადმი 2025 წლის 22 ივლისს მიწერილი წერილი შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების გეგმის დამტკიცების შესახებ - შესაბამისი ორგანოს მიერ;<br>**7.შესაბამისობის გეგმა** |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიიდან და შენობა-ნაგებობების სქემა, რომელიც ნანახი იქნა ადგილზე. დაწესებულებას აქვს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ 2025 წლის 22 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტის მერისადმი მიწერილი წერილი შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგრადობის დადგენის შესახებ, სადაც დაწესებულება ითხოვს, რომ მერიამ უზრუნველყოს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დასკვნის გადაცემა დაწესებულებისთვის შენობის მდგრადობის შესახებ, აღნიშნული ხარვეზი ასევე ასახულია შესაბამისობის გემაში .დაწესებულებას აქვს 2018 წლის 27 იანვრს გაცემული სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა, სადაც გაწერილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის შესახებ ჩასატარებელი ღონისძიებები. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებას მოთხოვნილი დარღვევების აღმოფხვრის ღონისძიებების ნაწილი შესრულებული, ხოლო ნაწილი შესასრულებელი აქვს. დაწესებულებას ასევე აქვს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის კასპის მერისადმი 2025 წლის 22 ივლისს მიწერილი წერილი შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების გეგმის დამტკიცების შესახებ - შესაბამისი ორგანოს მიერ; | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორციელება და ხარვეზის აღმოფხვრა, კერძოდ: უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) დოკუმენტის წარმოდგენა. დაწესებულებამ ასევე უზრუნველყოს უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ გეგმის წარმოდგენა; | | დაწესებულებამ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უზრუნველყოფს უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ გეგმის დამტკიცებას და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრისთვის ჩასატარებელი ღონისძიებების განხორციელებას. დაწესებულებას შესასრულებლად გაწერილი აქვს შესაბამისი რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი) და ვადა (12 თვე). ასევე, დაწესებულებას პირველ ეტაპზე წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდა შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დოკუმენტის (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) წარმოდგენა. შესასრულებლად შესაბამისი რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი, მოწვეული აკრედიტებული ექსპერტები) და ვადა (24 თვე) აქვს გაწერილი. ზემოთაღნიშნული გეგმა რეკომენდაციის შესაბამისია და ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ შეესაბამება. |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შენობა ორსართულიანია, ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე  სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების რეჟიმი საუზმის, სადილის და 2 წახემსების სახით. კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესით დამტკიცებული ბრძანება N99ით, შემოთავაზებული კვების მენიუ დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულების გადანაწილებით, და არის საშუალო არითმეტიკულით 1292კკალ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მენიუში დღიური მენიუ ფაქტურა არ მოიცავს ინფორმაციას ერთ ბავშვზე გაცემული პროდუქტის ზუსტ რაოდენობას ბრუტოს და ნეტოს მითითებით, პროდუქტის ქიმიური შემადგენლობა( ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი) ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. რაციონის კვებითი ღირებულება უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის ჯანმრთელობის და ზრდა-განვითარების უზრუნველყოფისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N487, ტექნიკური რეგლამენტით, ასევე რომელიმე ნედლეულის არ ქონის შემთხვევაში, ის შეიძლება შეიცვალოს ენერგეტიკული ღირებულებისა და საკვები ნუტრიენტების (ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი) იდენტური რაოდენობის შემცველი პროდუქტით.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი, რომ დაწესებულება აპირებს შეიმუშაოს მენიუ, რომელიც უკვე დამტკიცებული და წარმოდგენილი აქვს. არ არის აღნიშნული მენიუ ფაქტურასთან დაკავშირებით გეგმაში რაიმე ცვლილება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.** | მნიშვნელოვანია დაწესებულებამ შეიმუშაოს მენიუ-ფაქტურა და იყოს თითოეული დღის მენიუსთვის ინდივიდუალური. მენიუ- ფაქტურა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, კერძების მოსამზადებლად გამოყენებული პროდუქტის სრულ ჩამონათვალს, თითოელი პროდუქტის ზუსტი რაოდენობა ბრუტოს და ნეტოს მითითებით, თითოეული კერძის შემადგენელი პროდუქტის, დღის განმავლობაში რა რაოდენობის ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები და ენერგეტიკული ღირებულება არის გათვლილი ერთ ბავშვზე დაანგარიშებით. მენიუ ფაქტურის შემუშავებისას გასათვალისწინებელია სავალდებულოდ მისაღები პროდუქტის რაოდენობრივი ნორმების ასახვა. სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფისთვის, ტექნიკური რეგლამენტით შემუშავებულია ძირითადი სავალდებულო პროდუქტებისა და მათი კონკრეტული რაოდენობის ჩამონათვალი, რომელიც უნდა დაიცვას სკოლამდელი ასაკის ბავშვების კვების დროს დაწესებულებამ. | | დაწესებულებამ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულება შეიმუშვებს მენიუ-ფაქტურას თითოეული დღის მენიუსთვის ინდივიდუალურად. მენიუ- ფაქტურაში მოცემული იქნება შემდეგი ინფორმაცია: კერძების მოსამზადებლად გამოყენებული პროდუქტის სრული ჩამონათვალი, თითოელი პროდუქტის ზუსტი რაოდენობა ბრუტოს და ნეტოს მითითებით, თითოეული კერძის შემადგენელ პროდუქტში დღის განმავლობაში რა რაოდენობის ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები და ენერგეტიკული ღირებულება არის გათვლილი ერთ ბავშვზე დაანგარიშებით. მენიუ ფაქტურის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება სავალდებულოდ მისაღები პროდუქტის რაოდენობრივი ნორმები. ზემოთაღნიშული გეგმა რეკომენდაციის შესაბამისია. შესასრულებლად გაწერილი აქვს შესაბამისი რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი) და ვადა (12 თვე) . ვიზიარებ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, აღნიშულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება. |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | |
| | პური ≈1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული ≈300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | |
| | ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული ≈1800გ<br>კარტოფილი ≈1200გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | |
| | რძე დასალევად ≈1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი ≈3370 მლ. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | **დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მენიუში დღიური მენიუ ფაქტურა არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას. მენიუ-ფაქტურაში არ იკითხება დღიურად გაწერილი, ერთ ბავშზე მისაღები პროდუქტის ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი, ნახშირწყლები), ასევე თითოელი პროდუქტის ზუსტი ბრუტოს და ნეტოს რაოდენობა, აღნიშნული მიზეზით ვერ განხორციელდა ინდიკატორებში შემავალი ინფორმაციის შეგროვება, შესაბამისად ინდიკატორი შეუსაბამოა.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კვების მენიუში არ არის აკრძალული პროდუქტებისა და ნივთიერებების ჩამონათვალი.<br>დაწესებულებამ წარმოადგინა პროდუქტის მარაგი, რომელსაც ბავშვთა კვებაში იყენებს, არსებულ ეტიკეტებზე საკვები დანამატების შემცველობა არ ფიქსირდება.** | მნიშვნელოვანია დაწესებულებას ჰქონდეს შემუშავებული და დამტკიცებული მენიუს-ფაქტურა, სადაც ყოველი დღის მენიუ ფაქტურა მოიცავს ინფორმაციას, კერძების მოსამზადებლად გამოყენებული პროდუქტის სრულ ჩამონათვალს, თითოელი პროდუქტის ზუსტი რაოდენობა ბრუტოს და ნეტოს მითითებით, თითოეული კერძის შემადგენელობაში დღის განმავლობაში რა რაოდენობის მარილი და შაქარი გამოიყენება. დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის დადგენილება N487 ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად,ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ჯანსაღი კვების ძირითადი პრიინციპების შესასრულებლად. | | დაწესებულებამ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშული გეგმის მიხედვით, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულება შეიმუშავებს მენიუ-ფაქტურას თითოეული დღის მენიუსთვის ინდივიდუალურად, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კერძების მოსამზადებლად გამოყენებული პროდუქტის სრულ ჩამონათვალს, თითოელი პროდუქტის ზუსტ რაოდენობას, ბრუტოს და ნეტოს წონას, რომელიც რეკომენდაციის შესაბამისია. შესასრულებლად გაწერილი აქვს შესაბამისი რესურსი (გაერთიანების ბიუჯეტი) და ვადა(12 თვე). ვიზიარებ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, აღნიშულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება. |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველ პროდუქტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ყავა და შავი ჩაი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/უალკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების (გარდა რძისა), ენერგეტიკული სასმელების) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები (მაგ: ქოლესტეროლის დამწევი ან უჯრედისის მაღალი შემცველობის სურსათი და სხვ.) გარდა იმ შემთხვევისა თუ სპეციალურ საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის მიერ წარმოდგენილია სპეციალისტის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული თუ არაკულტივირებული სოკო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუშიი არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი (გარდა იმ შემთხვევისა თუ კვებითი აუტანლობის მექანიზმში გაწერილია მსგავსი პროცედურა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება შემდეგი საკვებდანამატები:<br>ნატრიუმის ბენზოატი (E211)- კონსერვანტი<br>ტარტრაზინი(E102) - საღებავი<br>ქინოლინისებრი ყვითელი (E104) - საღებავი<br>ყვითელი "მზის ჩასვლა" (E110) - საღებავი<br>კარმუაზინი (E122) - საღებავი<br>პონსო ალისფერი 4R (E124) - საღებავი<br>წითელი ალურა AC (E129) - საღებავი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5 | **კვების მიწოდება და უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებამ წარმოადგინა დღის განრიგი, სადაც აღნიშნულია, რომ კვების პროცესი თითოეული ბავშვისთვის დღის განრიგის შესაბამისად, ერთდროულად მიმდინარეობს და უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის ჭურჭლის ნაკრებით.<br>მე-2 ინდიკატორის მოთხოვნას დაწესებულება უზრუნველყოფს შინაგანაწესით.<br>ბავშვთა კვების პროცესის მუდმივ მეთვაყურეობას, შინაგანაწესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი ახორციელებს. | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

თამარ ქრისტესაშვილი 20/11/2025

4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №3

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):კასპის მუნიციპალიტეტის ქ. კასპის N3 საბავშვო ბაგა-ბაღი | ბრძანების N: MES 2 25 0000989967 (15.08.2025 წ ) |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, ქუჩა ქუთათელაძის N2<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 03.09.2025 |

3

| | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.ა.(ა).ი.პ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N95 ბრძანებით დამტკიცებული ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი'' ;<br>2.ა.(ა).ი.პ.კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N95 ბრძანებით დამტკიცებული , კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღძრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ ბაღებში სტანდარტული ოპერაციების პროცედურები;<br>3. წყლის გაერთიანების მომარაგების კომპანიაში აბონენტად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ანგარიშსწორების ქვითარი14.07.2025 წ,საგადასახადო მოთხოვნა N0427) ;<br>4.წყლის სინჯის ლაბორატორიული გამოცდის ოქმი(გამოცდის ოქმი N4465,24.09.2024 წ,საგამოცდო ლაბ:შპს "ეტალონი");<br>5.ხელშეკრულება დერატიზაციისა და დეზინსექციის განმახორციელებელ კომპანიასთან(ხელშეკრულება N6,31.01.2025 წელი.მოქმედების ვადა 1 წელი);<br>6.ხელშეკრულებები სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები შესყიდვასთან დაკავშირებით;<br>7.დღის განრიგი;<br>8. ჩანაწერები;<br>9.ჟურნალები;<br>10.ფოტომასალა.<br>11.ინტერვიუ პერსონალთან;<br>12.ჰასპის სახელმძღვანელო. |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი მექანიზმი,რომელიც დამტკიცებულია ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2025 წლის 26 ივნისის N95 ბრძანებით,ამავე ბრძანებით არის დამტკიცებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები,თუმცა დოკუმენტში ასახული დანართები არ ემთხვევა არსებული სოპ-ების ნუმერაციას და დასახელებას .მაგ:მექანიზმში მითითებულია,რომ სათამაშოების რეცხვა-დეზინფექცია ხორციელდება დანართი 09- ში გაწერილი წესებით,ფაქტიურად კი დანართი 09-ში გაწერილია ჯგუფურ ოთახებში მაგიდებისა და სკამების რეცხვა/დეზინფექციის სოპი. მექანიზმში მითითებულია რომ ლოგინის,ხალიჩების რეცხვა-დეზინფექცია ხდება დანართი N11-ით დამტკიცებული სოპ-ის შეაბამისად,მაგრამ N 11 დანართი არის თეთრეულის გამოცვლის სოპ-ი და ა.შ .<br>ასევე თითოეულ სოპ-ზე არ არის მითითებული შემუშავების თარიღი;<br>დაწესებულების წყალმომარაგება უზრუნველყოფილია ცენტრალურ წყალმომარაგების ქსელზე მიერთებით - აქვთ აბონენტის კოდი(კოდი 3020126)და ასევე აქვთ ცენტრალური კანალიზაციის სისტემა(გადახდის ქვითარი).<br>წყალი მიეწოდებათ გრაფიკით,რის გამოც უწყვეტი მიწოდებისთვის მოწყობილია სასმელი წყლის ავზი ,რეზერვუარის ტევადობა უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით დაანგარიშებულ წყლის საჭიროებას, აქვთ 2 დღის მარაგიც,რასაც ადასტურებენ ინტერვიუში (ბაღის გამგე,მედდა).<br>სასმელი,საკვების მოსამზადებელი და რეცხვ/დეზინფქციისთვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა,დაწესებულების მიერ სასმელი წყლის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა ხდება წელიწადში ერთხელ,რაც დაგვიდასტურეს კვლევის ოქმით N 4457,24.09.2024 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად მექანიზმში განსაზღვრული აქვთ შიდა და გარე სივრცის,ინვენტარის,თეთრეულის დასუფთავება/დეზინფექციის,დერატიზაცია/დეზინსექციის პერიოდულობა(აქვთ შესბამისი დანართები,ჩანაწერები);<br>დაწესებულებას მექანიზმში იდენტიფიცირებული აქვს ნარჩენების ტიპები და გაწერილი აქვთ ნარჩენების მართვის პროცედურები(შიდა და გარე ტრიტოიაზე განთავსებულია ურნები)თუმცა მექანიზმში ნარჩენების მართვის სოპის მითითებული დანართის ნომერია დანართი N16,რეალურად კი გაწერილია N 18 დანართში.<br>დაწესებულებას მექანიზმში გაწერილი აქვთ, თუ როგორ არეგულირებენ შენობის განიავებას საჰაერო რეჟიმების დაცვის მიზნით,აქვთ განიავების განრიგიც,თუმცა რეალურად არ ხდება ოთახების ტემპერატურის მუდმივი მონიტორინგი(არ აქვთ თერმომეტრები),რაც აუცილებლად შესასრულებელია.<br>მექანიზმში გაწერილია (მუხ.13)ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს ჯანდაცვია შესაბამისი სამსახურის ინფორმირების წესი | | სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს ,რომ:<br>სრულყოფილად შეიმუშაოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი,სადაც გაწერილი სოპ-ების დასახელება და ნუმერაცია თანხვედრაში იქნება დანართებთან .თითოეულ სოპზე მითითებული უნდა იყოს შემუშავების თარიღი;<br>სოპში გაწერილი შესასრულებელი ნაბიჯები უნდა იყოს გაწერილი დეტალურად და მითითებული იქნას კონკრეტული შემსრულებელი.დანართები წარმოდგენილი უნდა იყოს სრულად,ასევე გაწერილი ჩანაწერები(ჟურნალები) იყოს დეტალური და სრულყოფილი.<br>სასურველია სანიტარია-ჰიგიენის დაცვისთვის შემუშავებულ სოპ-ებში შესასრულებელი ნაბიჯები აღწერილი იქნას თანმიმდევრულად, სქემის სახით,მაგ;სანიტარული კვანძის დასუფთავების განრიგში გაწერილი იქნას:ხელსაბანის წმენდა და დეზინფექცია,უნიტაზის წმენდა და დეზინფექცია,საპნის დამატება,ხელსახოცის დამატება და ა.შ. | |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების სათავსების,ჯგუფური ოთახების და საძინებლების იატაკი არის ლამინატი,ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას;<br>სანტარული კვანძის სათავსების კედლები ექვემდებარება რეცხვა/დეზინფექციას-- 1,5 მ სიმაღლემდე მოპირკეთებულია ფილებით,თუმცა 3-4 წლიან,5-6 წლიან ჯგუფის ოთახებში ზოგიერთი კედლის მცირე ფართი არ იძლევა სველი წესით დასუფთავების შესაძლებლობას(ნალესი ჩამოშლილია და შესაბამისად არ იძლევა ადვილად დასუფთავების შესაძლებლობას).<br>დაწესებულების შენობის სათავსებში, გარეთ გამავალ ფანჯრების დიდი ნაწილი არ არის დაცული მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეებით | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს რომ:კედლები იძლეოდეს დასუფთავებისა და სველი წესით დამუშავების შესაძლებლობას;<br>გარეთ გამავალ ფანჯრებზე გამოყენებული იქნას მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | | დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია დაგეგმილი აქტივობები, კერძოდ, რომ: უზრუნველყოფენ კედლების მოპირკეთებას და გარეთ გამავალ ფანჯრებზე დამონტაჟებული იქნება მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები, მითითებული აქვთ შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი(ფინანსური/მატერიალური).ვიზიარებ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, აღნიშულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება. |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | **შენობა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი,ასევე ხელოვნური განათებით.დაწესებულების ძირითად სივრცეებში,სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი,ასევე საძინებლებსა და დარბაზში არის როგორც ბუნებრივი,ასევე ხელოვნური განათება.ფანჯრები აღჭურვილა მზისგან დამცავი ფარდებით,რაფები თავისუფალია.განათების გაუმჯზესებისთვის კედელი,ჭერი და იატაკი ღია ფერის ტონალობაშია** | | | |
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალანირებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | **დაწესებულება უზრუნველყოფილია მუდმივი ცენტრალიზებული წყალმომარაგებით(ცივი და ცხელიწყალი), წყალარინებით და კნალიზაციით;<br>გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით და უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის უსაფრთხო წყლის მიწოდება;<br>მექანიზმში გაწერილია,რომ ბავშვებისთვის სასმელი წყლის მიწოდება ხდება კონტეინერებით,რომელსაც რეცხავენ ყოველდღიურად,თუმცა გასაუბრებით გაირკვა რომ ბავშვები ძირითდად იყენებენ საკუთარ,სახლიდან მოტანილ ,კონტეინერებს,რაც შესაბამის დანართში არ არის მითითებული** | | **სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და კონტეინერებს გაუკეთდეს შესაბამისი ეტიკეტები (წებვადი ქაღალდით ან სხვა საშუალებით),რომელზეც განთავსებული იქნება დაწესებულების მინიჭებული შიდა ნომერი და ბაშვების ჯგუფის ნომრები,რაც საჭიროა კონტეინერების დაზიანებისა და გამოცვლის შემთხვევაში მიკვლევადობისთვის.კონტეინერის მასალა დაშვებული უნდა იყოს სასმელი წყლის შესანახად,დაშვების დადასტურება კი უნდა მოხდეს კონტეინერის მწარმოებლის მიერ გაცემული დოკუმენტით ან მასზე დატანილი ეტიკეტით.სსასმელი წყლის კონტეინერებს გარკვეული პერიოდულობით ჩაუტარდეს დეზინფექცია(არანაკლებ თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად)** | |
| | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება: | | | | | | | | |
| | ა) წყლის კონტეინერის საშუალებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბ) წყლის დისპანსერის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გ) წყლის შადრევნის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის კონტეინერის საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის დისპენსერების საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1) ხელმისაწვდომია ერთჯერადი გამოყენების ჭიქები; 2) წყლის დისპენსერის ავზი პერიოდულ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით; | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის წყაროდ არტეზიული ჭის არსებობის შემთხვევაში, ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) დაცულია გარედან რაიმე სახის დაბინძურებისაგან ბ) განთავსებულია არანაკლებს 30მ დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან გ) არ ხდება პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100მ რადიუსში დ) ჭა მოწმდება სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით ე) ჭას აქვს ღობე ცხოველებისგან დასაცავად ვ) ჭის გარშემო მოწყობილია სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ზ) წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად ინახება თ) ჭა ჩაკეტილი და თავდახურულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის დროს, ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სანკვანძ(ებ)ი და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან/სეპტიკურ ავზთან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) გარე სანიტარიულ კვანძს გააჩნია საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით ბ) სან.კვანძის სავენტილაციო მილს აქვს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადე გ) სან.კვანძს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება დ) სან.კვანძს აქვს ფუნქციური ხელსაბანი ე) აქვს სან.კვნძთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი ვ) დაწესებულებას აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი მათი დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სანიტარიული კვანძი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან შეადგენდეს არანაკლებ 30 მ-ს. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივი წყლის მიწოდების არ არსებობის შემთხვევაში, დამონტაჟებულია სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით. სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი გამოიყენება მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას. ტექნიკური წყალი არ გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელია, რაც ექვემდებარება კონტროლს დაწესებულების მხრიდან | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **5** | **მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელის განიავება (ორპირი/ერთმხრივი/გვერდითი/გამჭოლი) უზრუნველყოფილია რეგულარულად, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესის მიხედვით. დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს განიავების წესებს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში განიავებისას დაცულია აუცილებელი მოთხოვნები:<br>განიავება ხდება რეგულარულად,ორპირი/ერთმხრივი/გამჭოლი მეთოდებით .ჯგუფურ ოთახები და საძინებლები იმგვარად არის მოწყობილი .რომ მისი კარებისა და ფანჯრების მდებარეობა შესაძლებელს ხდის როგორც ერთმხრივად,ისე ორმხრივ განიავებას,შემუშავებული აქვთ შესაბამისი სოპი და აწარმოებენ ჩანაწერებს.<br>მექანიზმში გაწერილია, რომ დაწესებულებაში ტემპერატურის კონტროლისთვის კედლებზე დამონტაჟებულია თერმომტრები,თუმცა რეალურად არ არის თერმომეტრები და შესაბამისად არც ტემპერატურული რეჟიმების კონტროლი ხდება;<br>ბავშვების ყოველდღიური ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა და პერიოდულობა დასტურდება შესაბამისი განრიგით,რაც დადასტურდა თანამშრომლებთან გასაუბრებითაც. | დაწესებულებამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის უნდა გაითვალისწინოს ,რომ ტემპერატურული რეჟიმის კონტროლი სავალდებულოა და შესაბამისად დამონტაჟებული უნდა იქნეს შენობაში თერმომეტრები იატაკიდან 0,8-1,2 მ სიმაღლეზე | სასურველია გთვალისწინებული იქნას,რომ დაწესებულებაში ტემპერატურის გარდა,მოხდეს ფარდობითი ტენიანობის გაზომვა და მისი კონტროლი,განსაკუთრებით საძინებელ,ჯგუფურ ოთახებსა და დარბაზებში,.ამისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ჰიგრომეტრები | დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია დაგეგმილი აქტივობები, კერძოდ რომ:შეიძინენ და დაამონტაჟებენ თერმომეტრებს,მითებული აქვთ შესრულების ვადები,პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი (ფინანსური/მატერიალური). ვიზიარებ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, აღნიშულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება. |
| | ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრები დამონტაჟებულია კედელზე იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვების ყოველდღიური ჰაერზე ყოფნა/გასეირნებას დადგენილი ხანგრძლივობით, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **6** | **მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისადმი/პირობების დაცვისადმი** | | | | | | | | |
| | **შენობის შიდა სათავსებში:** | | | | | | | | |
| | მთელი შენობის გენერალური დასუფთავება ხდება ყოველთვიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას მექანიზმში გაწერილი აქვთ შენობის შიდა სათავსების დასუფთავებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი შემდეგი პუნქტები:<br>რომ გენერალური დასუფთავება ხდებოდეს ყოველთვიურად(გენერალური დასუფთავების სოპ-ში გაწერილია,რომ "გენერალური დასუფთავება ხორციელდება სველი წესით,<br>სარეცხი საშუალებების გამოყენებით (SRC 50(FOAM CL – K52",სარეცხი საშუალების ნაცვლად მითითებულია სადეზინფექციო საშუალება);<br>რომ დეზინფექციისთვის გამოიყენებოდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები;<br>რომ ყველა სათავსი, იატაკი,ავეჯი,ბავშვების ტანსაცმლის კარადები .ფანჯრის მინების სუფთავდებოდეს სველი წესით, საჭირო სიხშირით.<br>ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია ყველა თანამშრომელი,რაც დასტურდება მათი გამოკითხვით,,შესზამისი ჩანაწერებით | | სასურველია, რომ:რეცხვა-დეზინფექციის,დაუფთავების აღრიცხვა-მონიტორინგის შემუშავებულ ფორმებში მოცემული ინფორმაცია თანხვედრაში იყოს მექანიზმით გაწერილ პროცედურებთან,შესაბამის სოპში გაკეთდეს სწორი,რეალური ჩანაწერი გამოყენებულ სადეზინფექციო ხსნარებთან დაკავშირებით | |
| | სადეზინფექციო სამუშაოები ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ყველა სათავსი სუფთავდება სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში (სადაც ეს შესაძლებელია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სვრცეები სველი წესით სუფთავდება დღეში ორჯერ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ავეჯის ზედაპირიდან (არაუმეტეს 2 მეტრს სიმაღლეზე), გამათბობელი მოწყობილობიდან, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარის სახელური, კარადის სახელურების და სხვ), ფანჯრის რაფებიდან მტვერი სველი წესით იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვების ტანსაცმლის კარადები ყოველდღიურად იწმინდება შესაბამისი ზედაპირების მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებით. კვირაში ერთხელ ირეცხება/მუშავდება სველი წესით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გამწოვი ვეტნილაციის ჟალუზები ღიაა და სისტემატიურად იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, ხოლო დახურულია, მხოლოდ შენობის შიგნით და გარეთ ტემპერატურა მკვეთრი სხვაობის დროს, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ფანჯრის მინები შიგნიდან და გარედან იწმინდება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით და დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ,რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | აკრძალულია ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას (კედლების, ჭერის, ფანჯრის ჩარჩოების შეთეთრება/შეღებვა და სხვ). | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **ინვენტარი:** | | | | | | | | |
| | ახლად შეძენილი სათამაშოები (რბილის გარდა) ბავშვებისთვის მიწოდებამდე ირეცხება 15 წუთის განმავლობაში, 37˚ C-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შრება ჰაერზე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ორგანიზაციაში ლოგინის, ხალიჩების, საფენების დასუფთავება, რეცხვა და დეზინფექციის სოპ-ში პროცედურის აღწერაში გაწერილია რომ ლოგინის,ხალიჩების,საფენების რეცხვა-დეზინფექცია ხორციელდება წინასწარ დადგენილი მეთოდებით და სიხშირით.მეორე პუნქტში კი მითითებულია რომ "დასუფთავებას, რეცხვას და დეზინფექციას ექვემდებარება: მხოლოდ ხალიჩები" ასეთივე ჩანაწერია მეთოდსა და სიხშირის პუნქტში"ხალიჩები თვეში ერთხელ იწმინდება სველი ჯაგრისით და 3 თვეში ერთხელ უტარდება ქიმიური წმენდა. ".<br>რეალურად კი დათვალიერებით აღმოჩნდა რომ ხალიჩები დაწესებულებას არ აქვს , ლოგინის ქიმ.წმენდა კი არ ხდება და შესაბამისად ,ვერ წარმოადგინეს ხელშეკრულება სპეციაურ სამსახურთან,<br>დაწესებულებაში სათამაშოებს უტარდება რეცხვა/დეზინფექცია გაწერილი სიხშირით,რაც დასტურდება გამოკითხვით და შეზაბამისი ჩანაწერებით.<br>თეთრეული მარკირებულია და მისი გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით,მინიმუმ კვირაში ერთხელ,რაც აღნიშნულია როგორც მექანიზში,ასევე შესაბამის დანართში, მაგრამ რეალურად ყველა ბავშვს სახლიდან მოაქვს თეთრეული,რაც არ არის გაწერილი შესაბამის სოპ-ში;<br>სანიტარულ კვანძში ხელსაბანი ნიჟარები ტექნიკურად გამართულია და ირეცხება დადგენილი გრაფიკით,რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით,გამოკითხვით და ჩანაწერებით.რაც შეეხება უნიტაზებს ერთ ჯგუფში (2 წლიანების) არსებული 3 უნიტაზიდან 2 დაზიანებულია,თუმცა ბავშვების რაოდენობისთვის გამართული უნიტაზების რაოდენობა შესაბამისია<br>დაწესებულების ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილია თხევადი საპონით,ერთჯერადი ქაღალდის ხელსახოცით,სანიტარული კვანძი-ტუალეტის ქაღალდით;<br>დაწესებულებას მექანიზმში განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა.,გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა.<br>სანიტარული კვანძისა და ჯგუფური ოტახების დასალაგებელი ინვენტარი არ არის მარკირებული და არ ინახება სპეციალურ კარადაში,თუმცა მექანზმში მითითებულია რომ ინვენტარი მარკირებულია და ინახება სპეციალურ სათავსში.ზოგიერთი ქიმიური საშუალება არ ინახება პირვანდელი შეფუთვით(გადატანილი აქვთ მინის ქილაში,რომელზეც მითიტებულია მხოლოდ ვადა)<br>ქიმიური საშუალებების დასაწყობების არეალში თვალსაჩინო ადგილზე არ არის განთავსებული გამოყენებული თითოეული ქიმიური საშუალებებისადმი უსაფრთხო მოპყრობის საინფორმაციო ფურცელი.დაწესებულებას მექანიზმში და შესაბამის დანართში შემუშავებული აქვთ ღამის ქოთნების რეცხვა/დეზინფექციის წესი,ვიზიტის დროს ღამის ქოტნები არ ჰქონდა ბაღს,თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ ღამის ქოთნები მოაქვთ მშობლებს .რეცხვა/დეზინფექციის წესს კი იცავენ ნაბიჯ--ნაბიჯ | ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ,რომ ლოგინს(ბალიში,ლეიბი,ქვეშაგები) .ხალჩებს,საფენებს დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით უტარდებოდეს ქიმიური წმენდა,რაც უნდა იყოს განსაზღვრული წინასწარ დადგენილი,ასევე მითითებული უნდა იქნას ვის მიერ ხორციელდება ქიმწმენდა.ამსავე დრო ჩანაწერები ჩატარებული საქმიანობის შესახებ იყოს სრულყოფილი.<br>ასევე დასალაგებელი ჯგუფური ოთახებისა და სანიტარული კვანძების დასალაგებელი ინვენტარი უნდა იყოს მარკირებული და ინახებოდეს სპეციალურ კარადაში იზოლირებულად.<br>ქიმიური და არაქიმიური,სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს პირვანდელი შეფუთვით ბავშვებისთვის მიუწვდომელ დაკეტილ სათავსში/კარადაში,ასევე თვალსაჩინოდ უნდა იყოს განთავსებული საინფორმაციო ფურცელი ქიმიური ნივთირებების უსაფრთხოების შესახებ | | დაწესებულებამ ინდიკატორთან მიმართებაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია დაგეგმილი აქტივობები, კერძოდ რომ: ლოგინს, საფენებსა და ხალიჩებს ჩაუტარდება ქიმიური წმენდა; მოხდება დასალაგებელი ინვენტარის მარკირება და შენახვა იზოლირებულად კარადაში; ქიმური და სარეცხი/სადეზინფექციო საშუალებები შენახული იქნება დაკეტილ სათავსში და თვალსაჩინო ადგილას განთავსდება საინფორმაციო ფურცელი ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხოების შესახებ; მითითებული აქვთ შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი(ფინანსური/მატერიალური). ვიზიარებ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, აღნიშულიდან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შეესაბამება. |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოები ყოველდღიურად იწმინდება და ირეცხება წყლით, ჯაგრისით, საპნით ან 2%-იანი სასმელი სოდის ხსნარით, ხოლო სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვების სათამაშოები უნდა ირეცხებოდეს ყოველ მეორე დღეს (თოჯინების ტანსაცმელი - გაჭუჭყიანების შესაბამისად), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშოებს დეზინფექცია უტარდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ქლორამინის 0,5%-იანი ხსნარით ან 0,5%-იანი ქლორის ხსნარით 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ ირეცხება და შრება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თეთრეულის გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თეთრეული მარკირებულია ჯგუფებისა და ბავშვების მიხედვით. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული ინახება ერთმანეთისგან განცალკევებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ლოგინი (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) ნიავდება გენერალური დასუფთავებისას და უტარდება ქიმიური წმენდა დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხალიჩები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველდღიურად იწმინდება მტვერსასრუტით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით იწმინდება სველი ჯაგრისით და უტარდება ქიმიური წმენდა, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საფენების გამოსაცვლელი მაგიდები, საბავშვო ქვეშაგები, მუშამბები, მანეჟის საფარველი ექვემდებარება რეცხვას საპნიანი წყლით დღეში ორჯერ. ფეკალიებით დაბინძურების შემთხვევაში, გასუფთავებული ადგილები დამატებით იწმინდება 1%-იანი სადეზინფექციო ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სანიტარულ კვანძში იატაკი, ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები/პისუარები ტექნიკურად გამართულია და ირეცხება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ დღეში ორჯერ, თბილი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ლაქების მოსაცილებლად არანაკლებ თვეში ორჯერ ირეცხება შესაბამისი პრეპარატით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი ბავშვებისთვის და პერსონალისთვის (WASH ინდიკატორი) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებული ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილია ხელის გასამშრალებლით (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის თავსახურიანი ნაგვის ურნით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებულ ყველა სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღალდით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა | ☑ | ☐ | ☐ | | | | | |
| | სანიტარული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია და ინახება სპეციალურ კარადაში სანიტარული კვანძის სიახლოვეს. ინვენტარი ხმარების შემდეგ ირეცხება ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველი მოხმარების შემდეგ ირეცხება გამდინარე წყლით, ყოველ დღე ირეცხება თბილი საპნიანი წყლით, ხოლო ყოველი კვირის ბოლოს, 30 წუთის მანძილზე მუშავდება 1%-იანი ქლორამინის ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)ეპიდსაშიში სიტუაციის დროს ყოველი მოხმარების შემდეგ, 30 წთ-ის განმავლობაში მუშავდება 1%-იანი ქლორის ხსნარით, ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული წესითა და სადეზინფექციო საშუალებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მაგიდები და სკამები ჯგუფურ ოთახებში იწმინდება ცხელი წყლითა და საპნით, ხოლო ეპიდჩვენებისას მუშავდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **შენობის გარე სივრცე** | | | | | | | | |
| | დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში არსებული აღჭურვილობა (მაგიდები, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | **გარე სივრცის დასუფთავების სოპში მითითებულია,რომ "ეზოში/გარე სივრცეში არსებული აღჭურვილობის (მაგიდები, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) დასუფთავება ხორციელდება მშრალი და სველი წესით, ყოველდღიურად.<br>და რომ ეზოს მორწყვა ხორციელდება ყოველდღიურად..თუმცა ინტერვიუში გაირკვა რომ ზემოაღნიშნული საქმიანობა ხორციელდება წელიწადის თბილ და ცხელ სეზონზე ყოველდღე;<br>ეზოში მოწყობილი აქვთ საქვიშე,რომელიც აღჭურვილა დახურვის მექანიზმით(ცელოფნით),ქვიშის შეცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით** | | **სასურველია, მექანიზმსა და დანართებში გაწერილი მოქმედების გეგმა,სიხშირე და ნაბიჯების თანმიმდევრობა თანხვედრაში იყოს რეალურ საქმიანობასთან** | |
| | დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის გენერალური დასუფთავება ხდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წელიწადის თბილ და ცხელ სეზონებზე ეზოს მორწყვა ხდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/გარე სივრცეში არსებულ საქვიშე აღჭურვილია დახურვის მექანიზმით. ქვიშის შეცვლა ყუთებში ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საასენიზაციო ორმოს/სეპტიკური ავზის დაცლა ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. დაცლის შემდეგ მუშავდება სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **7** | **მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებებში ყოველდღიურად ხორციელდება მყარი ნარჩენების შეგროვება ჯგუფურ ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და ხდება მათი უსაფრთხო გატანა შენობიდან, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | **დაწესებულებაში შენობიდან ყოველდღიურად ხდება ნარჩენების უსაფრთხო გატანა თავდახურული რეცხვადი კონტეინერებით,რომლებიც განთავსებულია ჯგუფურ ოთახებში,სამზარეულოში,ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში;<br>ვიზუალური დათვალიერებით ეზო სუფთა მდგომარეობაშია,გამოკითხვითაც დადასტურდა ,რომ ეზოს დასუფთავება ხდება ყოველდღიურად.ეზოში განთავსებულია მხოლოდ ერთი ნაგვის შემკრები თავდაუხურავი ურნა,თუმცა მისი დაცლა ხდება 3/4 შევსებისას.<br>ნაგვის შემკრები კონტეინერები განთავსებულია დაწესებულებასთან ახლოს,დაახლოებით 25 მეტრში .<br>ნარჩენების ურნებსა და მისი განთავსების ადგილებს უტარდება გარკვეული პერიოდულობით დეზინფექვია.<br>სადეზინსექციო/სადერატიზაციო სამუშაოები ხორციელდება შესაბამის სამსახურის მიერ,რაც დასტურდება ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით(ხელშეკრულება N6,31.05.2025 წ),შესაბამისი სოპ-ით(დანართი N18,19) და წარმოებული სამუშაოების ჩანაწერებით.** | | **სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და გარე ტერიტორიაზე იყოს საკმარისი რაოდენობით თავდახურული ნაგვის ურნები.რეკომენდებულია და არა სავალდებულო,რომ მოხდეს ნარჩენების კონტეინერების მარკირება შესაბამისი წარწერებით :სასურსათო ნარჩენები/საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ა.შ** | |
| | დაწესებულების ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება, ხოლო ნარჩენები გროვდება და იყრება ეზოში/ეზოს მიმდებარედ არსებულ ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრებ) კონტეინერებში, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები. ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების და ნაგვის ურნების დაცლა ხდება მათი 3/4 -ით გავსებისთანავე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები არის თავსახურიანი, არ არის გადავსებული და განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თავდახურულ მდგომარეობაში | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნები, ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები და მათი განთავსების ადგილები დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60 წთ-ის განმავლობაში ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების განთავსების სივრცის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდულ დამუშავებას მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

კითხვარის შევსების პროცესში, აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

ხათუნა ქიტიაშვილი

ხ. ქიტიაშვილი

20.11.2025 წ